ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 318

"15" აგვისტო 2017 წ.

ქ. თბილისი

ქ.თბილისში, ვახტანგ გორგასალის ქუჩა №1-ში მდებარე 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.03.062.023) შპს „საჩინოსთვის" (ს/კ 204380776) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ.თბილისში, ვახტანგ გორგასალის ქუჩა №1-ში მდებარე 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.03.062.023) შპს „საჩინოსთვის" (ს/კ 204380776) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 2 აგვისტოს №28.11.568 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ.თბილისში, ვახტანგ გორგასალის ქუჩა №1-ში მდებარე 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.03.062.023) შპს „საჩინოსთვის" (ს/კ 204380776) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე, ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

2. შეთანხმდეს საიჯარო ქირის წლიური საფასური - 3 200 (სამი ათას ორასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი